სახალხო გაზეთი

№ 737 ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი 1912 წ. № 737

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „ბრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „ბრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი ამით აცხადებს, რომ მიმდინარე **ოქტომბრის 31, ნაშუადღევის 2 საათზე**, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლი) **დანიშნულია პანაშვიდი** ბანკის დამაარსებელ, განსვენებულ

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. 1567.

ანტონ, ალექსანდრე, ელისაბედი და **ფატი ახვლედიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ქალაქ **ქუთაისში** გარდაიცვალა—პირველთა ძვირფასი **და** და უკანასკნელის—მული

მ ი ნ ა.

დაკრძალვა ქუთაისშივე **ხუთშაბათს, 1 ნოემბერს.** 1566

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვასო აბაშიძისა** და **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

პირველად **ახალი პიესა** ზღვის პირას. დრამა. 3 მ. ენგელ სა, თარგმან. ვ. შალიკაშვილისა.

კლაბ დრიუკსის როლს შეასრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

2) **შემთხვევა**, დრამატიული ნაკვთი, ორ სურათად. ი. ელეფთერიძისა. **გენერალ გოჯასპირიძის** როლს შეასრულებს—**ვასო აბაშიძე.**

მონაწილეობენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: კვირას, 4 ნოემბ., წარმოდგ. იქნება მეორედ „მთის ზღაპარი“, ნ. შიუკაშვილისა, და „დარისპანის გასაჭირი“, დ. კლდიაშვილისა.

1554 რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ქართული თეატრი

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება.

ორშაბათს, 5 ნოემბერს.

თავად-აზნაურთა თეატრში გაიმართება მ. ტ. **ვასილევის** მონაწილეობით

პირველი კვარტეტი (1-ლი სერიისა).

შესრულებულ იქნება: 1) ჰაიდენ კვარტეტი B—dur, 2) ბოროდინი, კვარტეტი № 2 D—dur, 3) ბახი a) პრელიუდია **E—dur**. ბეტჰოვენი, b) რომანსი [illegible]—**dur**, მოცარტი c) მენუეტტო D—dur, შეასრულებს მ. ტ. ვასილევი. ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების კვარტეტს შეადგენენ: მ. ტ. ვასილევი—პირველი სკრიპკა, მ. პალცევი—მეორე სკრიპკა, ს. ი. პრესმანი—ალტი, ე. ნ. კოპელნიცკი—ვიოლონჩელი.

კნ. ანდრონიკაშვილი-ციციშვილისა—აკომპანიმენტი.

დასაწყ. 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1568

№ 9. **ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი** № 9.

ხუთშაბათს, 1 ნოემბერს,

ქართულ სახ. წარმოდგ. მმართველი წრის მიერ მსახ. ბ-ნ **ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება: **ისმინე ისრაილ,** დრამა 3 მოქ. ო. დიმოვისა, თარგ. ვ. შალიკაშვილის მიერ.

2) **დ ა ვ ა**, წარმ. იქნება მარტო მესამე მოქ, კომ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი პიერეტ . მ. რომანიშვილისა; ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, ვ. გამყრელიძე, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, რ. სალოყაია, ნ. ჭანკვეტაძე.

მზადდება წარმოსადგენად: ბელოის დრამა „უმუშევარნი“. შემდეგი წარმოდგენა 6 ნოემბერს. ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1499 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** „წრის“ ადმინისტრაცია

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სასიმღერო და სადალობელი ნოტები:

„სალამური“. სახალხო სიმღერები	25 კ.	ქართ. ხალხ. სიმღ. კრებული მისივე	1 მ. 50 „
ქართ. ერთხმ. სიმღერები, არაყიშვილისა.	20 „	ქართ. საეკ. გალობა მისივე	1 „ 25 „
„ვაი დრონი, დრონი“. ქართლ. კილო	20 „	ქართ. ხალხ. სიმღერები და ლექსები კარგარეთელისა	50 „
მოგონება. გურული კილო	40 „	ქართ. სახ. სიმღერები მისივე	50 „
ქართ. სიმფ. მეგრ. კილოზე	25 „	ქართ. ეროვნული სიმღერები ფორტეპიანოს აკომპ. არაყიშვილისა	1 მ.—
ლეკური ჯანდიერისა . .	30 „	ქართული ცეკვა მისივე .	50 „
ქართული რომანსი ფალიაშვილისა	50 „	მგოსნის სიმღერა ოპერიდან „თქმულება შოთაზე“ მისივე	60 „
ნანა, შვილო! ფალიაშვილისა	40 „	Народныя пѣсни зап. грузіи მისივე	2 მ.—
ახალ აღნაგო, მისივე . .	40 „		
რვა ქართული სახალხო სიმღერა, მისივე	1 მ.—		

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

✻ „გ ა მ ც ე მ ი“ ✻

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 5 9 0.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
	მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½)
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშვ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	თიკანაძე ა. ე. (ყოველ დღე) 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
	ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½
	თრემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის თავლოგლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № რ, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით. 1018

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდა პირ. 1530

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დილისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მებრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ** 7—82. 724

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ქ ა ლ ი დ. ბ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5-6 საათამდე. კოროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. ჯაბაშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1040

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის 1. № 6

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ ჩვენმა პუბლიცისტმა ბ-ნმა **არჩილ ჯორჯაძემ** შემდეგი განცხადება შეიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობაში: „ვსთხოვ გამგეობას 1 ნოემბრიდან ნულარ მიგზავნის სალიტერატურო ფონდის პენსიას, რომლითაც დღემდე ვსარგებლობდი. ამასთან დიდს მადლობას ვუთვლი გამგეობას, რომ ამ პენსიის საშუალებით ორი წლის განმავლობაში დიდი დახმარება გამიწია. **არჩილ ჯორჯაძე**“.

✦ 27 ოქტომბერს, მგოსან **ილია ჭავჭავაძის** დაბადების დღიდან 75 წლის შესრულების გამო, სათვისტომო მართავს სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს. წაიკითხვენ ილიას ლექსებს, წარმოსთქმენ სიტყვებს მის მოღვაწეობაზე, შეასრულებენ სხვა და სხვა სიმღერებს ილიას ლექსებიდან და სხვა. ყველა ეს მოეწყობა რუსულად, რადგანაც ამ საღამოს უმთავრესი მიზანია—გააცნონ უცხო ერის სტუდენტებს ჩვენი მგოსანი და მისი მოღვაწეობა. ილიას ძეგლის კურთხევის დღეს კი, ხელმეორედ იქნება გადახდილი ეს იუბილეი „სათვისტომოს სალიტერატურო წრის“ მიერ, ამ დღისათვის „პროგრამის“ ყველა ნომრები ქართულად შესრულდება.

✦ **იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად** ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს ლ. ბოცვაძეს განუზრახავს, გამოსცეს საგანგებო კრებული, სადაც დაბეჭდილი იქმნება ყველა ის წერილი, სიტყვები, დეპეშები და სხვა, რომელიც განსვენებულ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებასა და დაკრძალვას შეეხება.

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში** ამ საზოგადოებისა ამ ჟამად სხვა და სხვა პირს და დაწესებულებას კარგა ხანია ვალი ჰმართებს. გუშინ საზოგადოების გამგეობამ საგანგებო წერილები გაუგზავნა მოვალეებს და სთხოვა, ანგარიშები, რაც შეიძლება ჩქარა გაასწორონ.

— 1912 წლის საწევრო ფული წ.-კითხვის საზოგადოების წევრთა უმრავლესობას დღემდე გადაუხდელი აქვს. საზოგადოების გამგეობა სთხოვს მოვალეებს, საწევრო ფული დროზე გადაიხადონ.

✦ **შუამდგომლობა.** სიღნაღის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე რათა განკარგულება მოახდინოს, რომ გაამაგრონ ნაპირები ქაბალის მდინარისა, რომელიც მცხოვრებს დიდ ზარალს აყენებს. ეს მდინარე ამას წინადაც გადმოსულა კალაპოტიდან და მცხოვრებთათვის 1,500 მან. ზარალი მიუყენებია.

✦ **პენსია.** პოლიციელ კომისარევის ქვრივს ქალაქის საბჭომ პენსია დაუნიშნა—წელიწადში 36 მან.

✦ **მებამბეთა კრების გამო.** ამ კრებისთვის, რომელიც ხვალ დაიწყება, შედგენილ იქნა რუკა ამიერ-კავკასიის სარწყავ ადგილებისა და აგრეთვე იმ მიწებისაც, რომლის მორწყვაც განზრახულია. კრების მონაწილენი კრების დასრულების შემდეგ თურქესტანში გაემგზავრებიან იქაურ კრებაზე დასასწრებლად.

— გამოვიდა ს. ნ. ტიმოფეევის შრომა: სტატისტიკა მებამბეობისა ამიერ-კავკასიაში 1909—1911 წლებში“.

✦ ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც შეეხება ქალაქის გამგეობის 1908 და 1909 წლების საფინანსო ანგარიშს.

✦ **ვერის პარკის გასაფართოვებლად** ქალაქის თვითმმართველობა ქ-ნ ტურკოვსკის მიწას ყიდულობს. საფინანსო და სატყეო-საბაღოსნო კომისიების აზრით, ამ მიწის შეძენა აუცილებლად საჭიროა. ქალაქის საბჭომ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა დროებით გადასდო, რადგანაც საჭიროა ზოგიერთ დაწვრილებით ცნობის შეკრება.

✦ **შეიპყრეს** ტფ. სასულიერო სემინარიის მსახური დიონისე იოსების ძე სკორბი, რომელიც თურმე მოსწავლეებს წიგნებსა ჰპარავდა და ჰყიდდა.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** სამსახურის საქმეთა გამო 9 ოქტომბერს ბორჩალოს მაზრაში გაემგზავრა.

✦ **საქალაქო მიწების მითვისება.** 1874 წლის გეგმით ქალაქის გამგეობამ გამოარკვია, რომ მადათოვის კუნძულზე უწინ განზრახული ყოფილა რამდენისამე ქუჩის გაყვანა. ეს ადგილები სხვა და სხვა პირს მიუთვისებია და ზედ შენობებიც აუგია. ქალაქის გამგეობა ამ ჟამად იმის გამორკვევაშია, ვის ან რამდენი მიწა მიუთვისებია.

✦ ხვალ, 1 ნოემბერს, მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით არტისტიულ საზოგადოებაში გაიხსნება ბამბის მრეწველთა კრება.

✦ **წვრილ კრედიტის ინსპექტორმა დ. ყ. ჩხეიძემ** ბორჩალოს მაზრის სოფ. სადახლოში გამოიკვლია წვრილი კრედიტის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გახსნის საქმე და საჭიროდ სცნო მისი დაარსება.

✦ **წვრილ კრედიტის საქმეთა კომიტეტმა** ნება დართო ტფილისის გუბერნიაში 12 ახალი ამხანაგობის გახსნა. აქედან ოთხი გაიხსნება გორის მაზრაში, ოთხი—დუშეთისა, 2 ტფილისისა, ერთი ბორჩალოში და ერთი თელავის მაზრაში.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** ტფ. ბებია ქალთა საზოგადოების გამგეობას, 26 ნოემბერს სახაზინო თეატრში საოპერო წარმოდგენა გამართოს საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 29 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, კარუსელნი დაღმართიდან თავის მოკვლის განზრახვით მტკვარში გადავარდა ტფ. მოქალაქის - შვილი ნიკოლოზ იოსების ძე მურადოვი (15 წლისა), რომელიც გამვლელებმა შეამჩნიეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

— 29 ოქტომბერს კარბოლის სიმჟავე დალია სარატოვის გუბერნიის მცხოვრებმა, მუშამ გრიგოლ იაკობის ძე ნოსოვმა (30 წლისა), რომელსაც სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს და ახლა მორჩენის გზაზეა.

✦ **სიონის ტაძრის შესაკეთებლად** ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ 1,500 მან. გადასდო ტფ. გუბერნატორის განკარგულებაში.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ **„ჯეჯილის“** რედაქციის **„ლომ-კაცი“**, ზღაპრული პოემა **გ. წერეთლისა.** ეს წიგნი **ჯეჯილის**“ ხელის-მომწერთ პრემიად დაურიგდებათ. ხოლო გაყიდვით—ხუთ შაურად ღირს. წიგნი სუფთად და ლამაზათიანად არის გამოცემული, ჩართული აქვს სურათები.

✦ გუბერნატორმა 15 მანეთით დააჯარიმა სახლის პატრონი მარიამ ბაჩაშვილი, რომელმაც მის სახლიდან გადასული მდგმური სახლის წიგნიდან არ ამოშალა.

✦ 29 ოქტომბერს რეუტოვის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შე ვეული ბავშვი, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ერთის თვისა ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ 29 ოქტომბერს ტფილისში 95 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ კვირას, 4 ნოემბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში მოხდება, **სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო წლიური კრება.**

✦ დღეს, 31 ღვინობისთვეს, საიმ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია **მორიგი კრება ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.** ბ-ნი ყაზახაშვილი წაიკითხავს მოხსენებას მებამბეობაზე; კრება მოისმენს მესაქონლეობის სექციის მოხსენებას და განიხილავს მორიგ საკითხებს.

სასამართლო

✦ **თავ. უჩა დადიანის საქმეს** ტფ. სამოსამართლო პალატის სესია ბაქოში გაარჩევს და არა კავკავში, როგორც წინად იყო განზრახული. საქმე კავკავში გადატანილ იქმნა სასამართლოში მოწმეთა გამოცხადების გასაადვილებლად. საქმე გაირჩევა 1913 წლის იანვარში.

ქუთაისი

✦ **ქუთაისისა და სენაკის სააზნაურო სკოლების სამზრუნველომ** თავმჯდომარედ აირჩია თ-დი მექი ფალავა, მის ამხანაგად ბ-ნი ილია ჩიქოვანი და მდივნად—თ-დი კირილე ლორთქიფანიძე.

✦ 24 ამ თვეს ქართულ გიმნაზიაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასწრებით გადაიხადეს **პანაშვიდი განსვენებული დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად.**

ამ ნაირივე პანაშვიდი გადაიხადა თავად-აზნაურობამ შაბათს 27 ოქტომბერს.

✦ ქუთათურმა მეჟერელმა ნებართვა ითხოვა, ქუთაისში გამოსცეს ქართული **ყოველდღიური გაზეთი** „გზა“.

სიღნაღი

✦ უეცრად გარდაიცვალა სოფ. ანაგის მცხოვრები ვანო დარჩიაშვილი.

თიანეთი.

✦ **მკვლელობა.** სოფ. აჯაგვაში ბაგრატ აჯიმამუდოვსა და მათე რიგიშვილს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბში ჩაერია აჯიმამუდოვის მამაც—გიორგი, რომელიც რიგიშვილმა ხანჯლით მოჰკლა.

ფოთი.

✦ ფოთის **სატუსაღოს უფროსად** დროებით დაინიშნა ზ. ბალიევი.

სოფლად

✦ შემოქმედებისა და სამების საზოგადოებამ (გურიაშია) საკოოპერაციო დაწესებულების წესდება წარუდგინეს გუბერნატორს დასამტკიცებლად. პირველ საზოგადოების ამხანაგობას ერქმევა „დამხმარე საზოგადოება“ მეორისას—„სარგებლობის საზოგადოება“.

დეპეშა

ხონი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

კვირას, 28 ამ თვეს, ხონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი, სახელოვან საზოგადო მოღვაწისა და თავდადებულ მამულიშვილის, დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად, მის მოკვლის ოცდა ხუთი წლის თავზე.

წერა კითხვის საზოგადოების ხონის განყოფილება.

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა.

(მოგონებანი)

1.

ეს იყო 1887 წლის ოქტომბრის 25-სა, კვირას.

ნაშუადღევი იქნებოდა, როცა მთელს ტფილისს ელვასავით სწრაფად მოედო შემზარავი ამბავი—მხცოვანი **დიმიტრი ყიფიანის** მოკვლა ქ. სტავროპოლში.

ეს საზარელი ამბავი მით უფრო დაუჯერებელი იყო, რომ საზოგადოება დღით-დღე ელოდა **დიმიტრი ყიფიანის** განთავისუფლებას იმ დაუმსახურებელი სასჯელისაგან, რომელიც თავს დაატყდა მას ეგზარხოსის პავლესი და მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვის მეოხებით.

საზოგადოებაში დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ, რომ დიმიტრი ყიფიანის სიმართლემ გაიმარჯვა პეტერბურგის მაღალ სფერებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიმიტრის მეუღლემ ნინა იაგორის ასულმა თხოვნა მიართვა პირადად ხაშურის სადგურზე ბორჯომში საზაფხულოდ ჩამოსულს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელმაც სრულის თანაგრძნობით მოისმინა ეს თხოვნა და ყოველივე შემწეობას დაჰპირდა.

დიახ, ქართველი საზოგადოება გულის ფანცქალით ელოდა თავის მოსარჩლე-მოამაგეს დიმიტრის და დიდის ზეიმით უპირებდა დახვედრას, მაგრამ ბნელეთის ძალებმა ქართველობას სიხარულის მოლოდინი სასოწარკვეთილებისა და სიმწარის სალესად გადაუქციეს.

იმ ხანებში ოცდა ოთხის წლისა არც კი ვიყავი. ვმსახურობდი საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკში და იმავე დროს უსასყიდლოდ ვმსახურობდი ქართულ სცენაზე.

კარგად მახსოვს, სწორედ კვირას ვასო აბაშიძის რეჟისორობით თეატრის ერთს პაწია ოთახში „გაყრის“ რეპეტიციას გავდიოდით, რომელსაც ვამზადებდით პირველ წარმოდგენისათვის სეზონის გასახსნელად.

მთელს თეატრში გაცხარებული მუშაობა იყო. ძველი არწრუნისეული თეატრის გადაკეთება მოიჯარადრე ლიუდვიგ ფორვატისთან ხელშეკრულების ძალით, ბანკის გამგეობას უნდა მოესწრო პირველ ნოემბრისათვის. თეატრის გადაკეთების საქმეს სათავეში ედგა ბანკის დირექტორი ვანო მაჩაბელი. ხოლო თეატრის აშენება მინდობილი ჰქონდა ინჟენერ შეკკინს. შენობის ზოგიერთი ნაწილების იჯარა აღებული ჰქონდა თავ. ნიკა დიასამიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრი მზად უნდა ყოფილიყო ერთი კვირის შემდეგ, თეატრში სამუშაო საქმე კიდევ ორი თვისაზე მეტი იყო (და მართლაც ახლად გადაკეთებული თეატრი გაიხსნა 16 დეკემბერს) და ამიტომ მუშაობა დღე და ღამე სწარმოებდა და კვირა-უქმეებშიაც ყველანი თეატრში იყვნენ და საქმეს აჩქარებდნენ.

სწორედ კვირას, 25 ოქტომბერს, საცა თეატრში გაცხარებული მუშაობა იყო, გავრცელდა ზარ-დამცემი ხმა დიმიტრი ყიფიანის მოკვლისა. ვანო მაჩაბელი მთლად გაფითრებული და ხელებ-აკანკალებული ნერვიულად წამ და უწუმ გაიძახოდა—„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ ნიკა დიასამიძე გარინდული, გაშტერებული და თვალებ დაჭყეტილი ხმას ვერ იღებდა, თითქოს სული შეეხუთაო... ბოლოს ვანო მაჩაბელი ბანკისაკენ გაექანა. ჩვენც გავყევით.

მაშინათვე კაცი აფრინა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც იქვე იდგა ბანკის ახლო, ფრეილინის ქუჩაზე, სადაც მისი გაზეთის „ივერიის“ რედაქციაც იმყოფებოდა. მალე მოვიდა თვითონ ილიაც წარბ-შეკრული და პირ-მოკუმული...

ვანო მაჩაბელს ნერვიული ქვითინი აუვარდა... ილიას ჯერ ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლვა და მერე გაწითლებულ თვალთაგან ცრემლები წამოსკდა... მე არასოდეს არ მენახა ასეთი ჩუმი, მუნჯი და იმავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარება!

დაუყონებლივ მისწერეს სტავროპოლში შეკითხვის დეპეშა ტარსაიძეს, კარგად არ მახსოვს ნიკოლოზს თუ მამა მისს ალექსანდრეს. მეორე დღეს ბანკში უკვე ბევრი რამე ვიცოდით სტავროპოლის ტრაღედიის შესახებ. გამოირკვა, რომ დიმიტრი ყიფიანი ვერაგულად მოეკლათ შაბათს, ღამე, 24 ოქტომბერს. თვალების ასახვევად მკვლელებს წაეღოთ ფულად ოთხიოდე თუმანი და ოქროს საათი.

ხალხის გულის წყრომას, მის აღშფოთებულს სინიდისს და აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა.

მთელი საქართველო სდუღდა სამართლიანის გულის წყრომით და არსება მისი აღვსილი იყო მართებულის შურის ძიებით.

27 ოქტომბერს ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ოჯახისათვის სამძიმრის გამოსაცხადებლად დეპუტატი გაეგზავნა და თანაც გაეგო როდის, სად და როგორ აპირებს მისი სახლობა ძვირფასი მიცვალებულის დაკრძალვას. ყოველივე ხარჯს დასაფლავებაზე თვითონ ბანკი კისრულობდა.

ზემოდ ხსენებულ დეპუტატად ბანკის გამგეობამ მე ამირჩია.

მეორე დღეს დილა ადრიანად გავემგზავრე რკინის გზით ხაშურში და იქიდან ქვიშხეთში. გომიდან უკვე თოვლი იდვა, ხოლო ხაშურსა და სურამისაკენ კარგად დაეთოვა, თუმცა საიმისოდ არ ციოდა.

ხაშურში დავიქირავე ცხენი გამძღოლიანურთ და ნაშუადღევს $3^1/_2$ საათზე ქვიშხეთში ვიყავი.

ვალერ. გუნია.

„ილიას საღამო“ ქუთაისში

27 ოქტომბერს ქალაქის თეატრში გამართულმა ტრადიციულმა „ილიას საღამომ“ დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი. თეატრში ტევა აღარ იყო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ რომ ამ დიდბუნებოვანი ადამიანისა და სათაყვანო მამულიშვილის ხსოვნის პატივისმცემელთა რიცხვი თანდათანობით მატულობს და მისი მოქირნახულე მარჯვენით უხვად ნათესი ეროვნული გრძნობა თანდათანობით ღვივდება, ფესვებს მაგრად იდგამს ჩვენს ხალხში. ტყუილად შრომობს, ტყუილად ირჯება ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, გადაგვარების გზაზე დამდგარი, რომ აღმოფხვრას ხალხის გულიდან ილიას ხსოვნა და მასთან ერთად ილიას მიერ ნათესი ეროვნული გრძნობა: მათდა საუბედუროდ, მათს შრომასა და ცდას სრულიად წინააღმდეგი ნაყოფი მოაქვს. ამას ნათლად ამტკიცებს, სხვათა შორის, „ილიას საღამოები“.

საღამოს 8 ნახ. საათზე ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა ვარდყვავილების გრეხილებით შემკული ილიას ქანდაკი, რომლის კვარცხლბეკს ორი მხრით ახალგაზდა ქალები შემოსხდომოდნენ. ქანდაკის გვერდით იჯდა მაგიდასთან ჩვენი პატივცემული მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა; ქანდაკის ორივე მხარეზე იდგნენ ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების წევრნი, ქართველი მსახიობნი და საღამოს მოთავენი. ფარდის ახდას საზოგადოება ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგება.

საღამო შესდგებოდა ექვსი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში პ. გუჯარიძემ წაიკითხა აკაკის ლექსი ილიას გარდაცვალების გამო; ა. ჯანელიძემ მოკლედ დაახასიათა ილიას მნიშვნელობა; ეკატერინე გაბაშვილისამ წაიკითხა თავისი მოგონებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა პატივცემული მწერალი ქალი.

მეორე განყოფილებაში დასდგეს ცოცხალი სურათი „ილია საგურამოში“.

მესამე განყოფილებაში მოხდენილად წაიკითხეს ილიას ლექსები ნ. გვარაძემ, ქ-მა ა. ჩირგაძემ და ქ-ნმა ამირაჯიბმა ძლიერ მოეწონა საზოგადოებას ქ-ნ ა. შარაბიძისა და გალ. თუთბერიძის მიერ შესრულებული, დუეტი „ტყეს ესხმება ფოთოლი“.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა მეოთხე განყოფილებაში დადგმული ცოცხალი სურათები „დიმიტრი თავდადებული“-დან.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მეხუთე განყოფილებაში ქ-ნ ნ. ჩხეიძის და ა. იმედაშვილის მიერ შესრულებულმა ილიას „დედა და შვილმა“.

საღამო დააგვირგვინა მეექვსე განყოფილებაში ადგილობრივ ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ მშვენივრად შესრულებულმა სიმღერებმა. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, მზად იყო გათენებამდი ესმინა ეს ტკბილი ხმები, მაგრამ, სამწუხაროდ, თვით მომღერლებმა, ოთხ-ხუთ სიმღერის შემდეგ, ფარდის ჩამოშვებით დაუდგეს საზღვარი საზოგადოების აღტაცებას.

სასურველია, რომ მომღერალთა გუნდმა სხვა და სხვა ქალაქებსა და დაბებში გამართოს კონცერტები.

უღრმესი მადლობა საღამოს მოთავეებს იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მათ მიანიჭეს საზოგადოებას..

ისარა.

ილიას საღამო ბაქოში.

ილიას დაბადებიდან 75 წლის თავის აღსანიშნავად ბაქოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების გამგეობამ, ბაქოს სალიტერატურო და სამხატვრო წრის დარბაზში, 27 ოქტომბერს გამართა საღამო შემდეგის პროგრამით: 1) ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის საზოგადო დახასიათებაზე წარმოსთქვა სიტყვა ბ. ვასილ ალ. ნასიძემ; 2) დადგმულ იქმნა ილ. ჭავჭავაძის ერთ-მოქმედებიანი პოემა „დედა და შვილი“, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ქ-ნი ქ. ანდრონიკაშვილისა და ბ-ნი ე. თალაქვაძე; 3) ილია ჭავჭავაძის სალირიკო პოეზიაზე წაიკითხა ბ. ლადო ახობაძემ; 4) აპოთეოზი (ცოცხალი სურათები) ილია ჭავჭავაძე თავის უკვდავ გმირთა შორის—და 5) ერთ—მოქმედებიანი ვოდევილი კ. ყიფიანისა „დატრიალდა ჯარა“, რომელშიდაც მონაწილეობდნენ; ქ. ქ. ანდრონიკაშვილისა და ვიქტორელი და ბ.ბ. ვ. ამაშუკელი და გ. პავლიაშვილი. ბ. ნასიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ილიას მოღვაწეობის დახასიათებაზე ვერ იყო ისე ძლიერი და მთლიანი, როგორც ეს ამ დღეს შეეფერებოდა და ჩემის დაკვირვებით ბ. ნასიძეს კი შეეძლო ამ როლის უკეთ შესრულება, ვინაიდან მას ენაც და საზოგადო განვითარებაც ხელს უწყობს. ასეთი პასუხსაგები სიტყვები, თუ ძლიერ დახელოვნებული არა [illegible] კაცი, უმჯობესია დაიწეროს და წაკითხულ [illegible] რათა სისტემა, აზრის მთლიანობა და ენის გარეგანი ფორმა დაცულ იქმნას. ქ-ნი ანდრონიკაშვილისა „დედა და შვილ“-ში კარგი ქართველი დედა იყო, მაგრამ როლის უცოდინარობა უშლიდა ხელს. ბ. თალაქვაძე ნიჭიერი და გამოცდილი სცენის მოყვარეა და მისგან უკეთეს „შვილს“, როლის აღმასრულებელს მოველოდით. ბ. ლ. ახობაძემ მშვენიერი ქართულის ენით წაიკითხა ილიას პოეზიაზე. ეტყობა, რომ ის ყოველ წარმოსათქმელ სიტყვას უკვირდება, რათა მოკლედ, ადვილად გასაგებად და ლამაზ ფორმებში გამოხატოს თვისი აზრი.

რაიცა შეეხება აპოთეოზს, უნდა ვსთქვათ, რომ ბ.ბ. თედეშვილსა და მატარაძეს ყოველი ზომა მიუღიათ, რომ ეს კარგათ გამოსულიყო და სიმართლე უნდა ვსთქვათ მათ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. დიდებული სურათები იყო: აჩრდილი, კაკო ყაჩაღი, ოთარანთ ქვრივი, ქართველი დედა და დიმიტრი თავდადებულიდან. ზემოდან თავს დაჰყურებდა თვით დიდებულ მგოსნის ილიას სურათი, რომლის გარშემო სამი ქალწული დაფნის გვირგვინებით შუქს ჰფენდა.—საღამო დასრულდა ვოდევილით, რომელშიაც უნაკლულო იყო ქ. ანდრონიკაშვილისა კოტეს მამიდის როლში, მშვენიერი იყო ვ. ამაშუკელი ექიმ კოტე ბლიაძის როლში. სოსიას როლში გ. პავლიაშვილი კარგი იყო, მხოლოდ გადაჭარბებულად იმთვრალებდა თავს. ქ. მ. ვიქტორელს ცოტა გრძნობა აკლდა. მან ვერ გამოხატა ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც მას უნდა განეცადა, როდესაც ლოგინში ჩაწოლილი ავადმყოფი ქმრის მაგივრად სოსია მსახური დახვდა.—ხალხი ბლომად დაესწრო საღამოს.

ბეთანიის მონასტრის ბედი.

ამას წინად ვწერდით, რომ დიდის წვითა და დაგვით განახლებულს, ბეთანიის მონასტერს კვლავ გავერანება მოელის, რადგან მისი მდგომარეობა გამოურკვეველია. საქმე ისაა, რომ ტაძარი კერძო მესაკუთრეების მამულზეა აგებული და გარდა ამ მამულით სარგებლობისა მას არავითარი სხვა სახსარი არ აქვს. თუმცა ამ მამულის ერთ-ერთ მონაწილეს, განსვენებულ დავით ბარათაშვილს აღუთქვამს ტაძრის განახლების მოთავეთათვის, რომ თავის ხვედრ მამულს მონასტერს უთმობდა სრულიად უსასყიდლოდ იმ მიზნით, რომ მონასტერთან მოწყობილიყო საზაფხულო სამყოფი თავ.-აზნაურთა შვილებისათვის და ამის შესაფერი შინაურული ხელწერილიც კი მიუცია, მაგრამ განსვენებულის მემკვიდრეები დღეს სულ სხვანაირის თვალით უცქერიან ამ საქმეს; მონასტრის მეთვალ-ყურეს, ბერ-მონაზონს მ. სპირიდონს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბეთანიის ტაძრის განახლებასა და დაცვაში, აკრძალული აქვს იმ მცირე მიწით სარგებლობაც კი, რომელიც აღთქმული ჰქონდა მონასტერს. თექვსმეტი წლის განმავლობაში ხსენებული მეთვალყურე შემოწირულებითა და პირადის გარჯილობით იცავდა ტაძარს ხელ-ახალ განადგურებისაგან, მაგრამ დღეს ესეც აღარ შეუძლიან, რადგანაც ყველამ კარგად იცის, თუ რა „მკვიდრი“ ნიადაგი აქვს შემოწირულებასა და ქველმოქმედებას. სხვა სახსარი კი, როგორც ზევით მოვიხსენიე, მონასტერს არ გააჩნია. იგი შტატ-გარეშედ ითვლება და თვით მ. სპირიდონიც სრულიად უსასყიდლოდ მსახურობს. რაკი არსაიდან დახმარების იმედი აღარ აქვს, მ. სპირიდონს განუზრახავს მონასტრის მიტოვება და შესაფერი შუამდგომლობაც აღუძრავს სასულიერო მთავრობის წინაშე. ამრიგად იგი იძულებულია ღვთის ანაბარად დასტოვოს ის კარგი საქმე, რომელსაც თექვსმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტელის ზრუნვით თავს დასტრიალებდა. მკვდრეთით აღდგენილ ძვირფას განძს ისევ აოხრება მოელის და პატრონ-მზრუნველი კი არავინა სჩანს. განა რა გახდა ისეთი, რომ განსვენებულ თ. დავით ბარათაშვილის მემკვიდრეებმა დღემდე ვერ გამოარკვიეს სადაო საქმე, რათა მით მონასტრის ბედიც ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეული-ყო. ბერ-მონაზონის მ. სპირიდონის იქიდან წასვლა იმას გამოიწვევს, რომ ძვირფასი ისტორიული ნაშთი ან სტიქიონის მოვლინებათა მსხვერპლად იქცევა, ან და მის მიტოვებულ ბჭეს ეშმაკი დაეპატრონება, დროა, ჯ[illegible] [illegible]რთიანი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

არისტოს.

დიდებული კვეტერას ციხე

(დასასრული *)

შენობა მთლად შენახულა მხოლოდ, რასაკვირველია, სახურავი აღარა აქვს და ეს ამოდენა პირღია ფანჯრები ისე გამოიყურება, რომ დევების სადგომს მოაგონებს კაცს. შემდეგ ამისა, საითაც კი კაცი ფეხს გადაადგავს უეჭველად რამეს წააწყდება. აქ ნახავთ ძველ ნამარნალებს, ძველ ქვევრებს, თითქმის უძირო ქებს რომლებიც ნახევრად ქვა-ღორღით არის ამოვსებული, აკლდამებს ძვლებით სავსეს, ქვეით ხევში ჩასასვლელ გვირაბებს, ნათონარებს და ვინ იცის კიდე რას. დავძვრებოდი ამოდენა ბუმბერაზ ნანგრევებ შორის, როგორც ქია და ვფიქრობდი თუ რა ხალხი უნდა ყოფილიყო ამოდენა თვალუწვდენელ ციხე-კოშკების ამგები და რა ძალა უნდა დახარჯულიყო ამოდენა შენობათა აგებაზე. ასეთის ფიქრებით გატაცებული გადავდიოდი ნანგრევიდან ნანგრევებზე და უეცრად წავაწყდი იმისთანა რამ საუცხოო, პატარა, მაგრამ კოხტა და თვალწარმტაც შენობას, რომ წინად ნახული სულ დამავიწყდა და უნებლიედ მუხლი მოვიდრიკე. ჩემ თვალწინ იდგა რვა კუთხიანი ვარსკვლავის მაგვარი პატარა, მაგრამ კოხტა ეკლესია სულ თლილის ქვით ნაშენი შიგნით გარედ და ზედ მშვენიერის გუმბათით. როგორც ვსთქვი მთელი ეკლესია შირიმის თლილ ქვით არის ნაშენი, მაგრამ რა კოხტა და კოპწია პატარძალივით მორთულმოჩუქურთმულია. ბევრი შესანიშნავი ძველი შენობა მინახავს, მაგრამ ამის მაგვარს არსად არ შევხვედრივარ. ეკლესიას აქვს რვა კუთხე ოთხი განიერი და მათ შუა ოთხი სამკუთხიანი გუმბათი დაყრნდობილია რვა თლილ სვეტზე და ეს თითო სვეტი სამ რგვალ სვეტისაგან შესდგება ერთიან ქვისაგან გამოკვეთილი და მშვენივრად მოჩუქურთმული. სვეტები მაღლა თავდება. ოთხ-კუთხი ლომფინის მაგვარი ბრტყელი თლილი ქვით შესანიშნავათ მოჩუქურთმული და ამ სვეტების თავებზე დაყრობილია კოხტა რვა ფანჯრიანი გუმბათი თლილისავე ქვისა ჩუქურთმებით შეხამებული. ეკლესია არ არის ძალიან მაღალი, თლილი სვეტების სიმაღლე, რომელზედაც გუმბათი სდგას 5 არშინია. ერთი სიტყვით საუცხოვო ხელოვნების ნაწარმოებს [illegible] სიმაღლე სიმეტრიულად აქვს შეხამებული.

ეს საარაკო ძველის-ძველი ნაშთი აქამდის მაგრადა სდგას და წვეთი არსაიდან ჩადის, მაგრამ თუ დროზე აარ უპატრონეს, წვიმა დენას დაიწყებს მალე, რადგან ის ადგილები, სადაც თლილი ქვებია გადაბმული, უკვე ჩაჰმულია. წარწერა არსად არა აქვს, მხოლოდ ეტყობა რომ შიგნით ნახატი ყოფილა თავის დროს. კანკელი აქვს ქვისა; ხისა კი თ[illegible] რამე ჰქონია, აქამდის არა შერჩენიარა: არც კარი და არც თუ ფანჯრების ჩარჩოები. ეკლესიას ორი კარი აქვს ერთი წინიდან და მეორე მარჯვენივ; თვით ეკლესია იმდენად პატარაა, რომ ნიშს წააგავს, მაგრამ ხელოვნურის შემკულობით შეუდარებელია და მის მნახველს არ შეუძლიან პირჯვარი არ დაიწეროს და გულ-მხურვალედ არ ილოცოს. მთელ ეკლესიაში 30—40 კაცის მეტი არ დაეტევა, მაგრამ წინ იმოდენა ადგილი აქვს რომ 1,000 კაცს დაიტევს.

გარედან გუმბათზე ამოსულია მოზრდილი ხეები და თუ მალე არ მოიჭრა გუმბათს ჩაანგრევს. ჩვენვე შეგვეძლო მოგვეჭრა ის ხეები, მაგრამ არც საჭერი რამ გვქონდა და აღარც დრო იყო იმდენი. ვთხოვე პატივცემულ თანამგზავრებს და დამპირდნენ მალე მოვაშორებთ გუმბათს ამოსულ ხეებსაო, თვით ერთი ჩემი თანამგზავრი თ. ს. რ. ჩოლოყაშვილი—ჯანდიერი იქამდინ გაიტაცა ამ ეკლესიის სიმშვენიერემ, რომ ერთ ახალგაზდა თავად ჩოლოყაშვილს, ამ კვეტერას ნაპატრონარს, 1000 მანეთი აძლია დაშალე როგორმე ჩემ ეზოში ჩამოიტანე და იქ მე თვითონ დავადგმევინებო. მერე მე გავეხუმრე თუ შესაძლებელია ფული მიე და ტფილისში ჩამოიტანოს ის არა სჯობია-მეთქი.

ამისთანა მშვენიერი და თითქმის ხელთუქმნელი, ჩვენი წარსულის დამამშვენებელი ძველის-ძველი ნაშთი, მოწმე ჩვენი წარსულ დიდებისა, [illegible]პატრონოდ მიტოვებულ-დავიწყებული სდგას უღრან და მიუვალ ტყეში,

ჩემის აზრით კარგს იზავდა ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომ გაეგზავნა გამოცდილი ხუროთმოძღვარი, მისი გეგმა უცვლელად გადაეღებინა და მომავალ ეროვნულ მუზეუმში ერთ-ერთი დარბაზი ამ ეკლესიის გეგმაზე აეშენებინათ.

მთელ კვეტერას ციხე-გალავანს ირგვლივ უჭირავს ორ—ვერსამდე და ამ გალავანს ოცზე მეტი ციხე-კოშკი ამშვენებს, და სიდიადეს აძლევს. ამ ციხე-სიმაგრეს სამხრეთით ჰსაზღვრავს ძალიან მაღლი თვალ-ჩაუწვდენელი ფრიალო კლდე, რომლის ძირსაც ჩამოუდის მოზრდილი ხევი სახელად **„ხევ-გრძელა“.** მისი ჩახჩახ-რაკრაკი, სასიამოვნოდ ისმის კვეტერის გალავანში. ხევ-გრძელა, როგორც ერთგული დარაჯი და ერთად-ერთი მოწამე კვეტერას წარსულ დიდებისა, დღესაც დაუზარელად ნანას უმღერის ამ ისედაც დიდიხნის მიძინებულ მიდამოს.

ჩემის აზრით, კვეტერის ციხე უუძველეს დროს უნდა ეკუთვნოდეს, მართლაცა და წინად ამ ციხე-გალავანში ადგილი სწორე და მინდვრიანი უნდა ყოფილიყო; ეხლაკი ნანგრევებით სავსე და თვალუწვდენელი გაუვალი ტყე ატეხილი. მაშასადამე ჯერ რამდენი დრო უნდა გასულიყო ვიდრე ეს ბუმბერაზი შენობები შეურყევლად იდგებოდა მერე რამდენი დრო უნდა გასულიყო ვიდრე ამ ნანგრევ ქვა-ღორღზე ატყდებოდა ამოდენა თელა-წიფლის და მუხნარის დაბურული ტყე.

კვეტერის ციხე და მისი მიდამო წინად ეკუთვნოდა თურმე იოსებ (სოსო) ქაიხოსროს ძეს თ. ჩოლოყაშვილს ს. მატანის მებატონეს, შემდეგ სათავ. აზნ. ბანკს დარჩომია და ბანკიდგან კნ. ეკატ. ჩხეიძისას შეუძენია.

დიდ მადლობას ვწირავ ჩემ თანამგზავრებს: ახმეტის მომრ. შუამავალს გ. ი. ცისკარაშვილს, თავ. ს. რ. ჩოლოყაშვილ-ჯანდიერს, თ. ვ. მაყაშვილს და ახმეტის ფოსტის გამგეს ი. ნ. ჩაპილგის რომელთაც არ დაიზარეს და ხელი შემიწყეს კვეტერას ციხის დათვალიერებაში.

ზ. ი. ჩხიკვაძე.

წერილი დორპატიდან.

როგორც მკითხველს მოეხსენება, დორპატში არსებობს „ქართული სათვისტომო“, რომლის მიზანია გო-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 716.

ნებრივი და ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს თავის წევრებს, ქართველებს. ამ სათვისტომოს მოკლე ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მას ბევრი ტანჯვა განუცდია სხვა და სხვა მიზეზების გამო; შეიძლება, ეხლაც წინ ელობებოდეს მას პატარ-პატარა დაბრკოლებები, მაგრამ ამ ხანად „ქართული სათვისტომო“ იმდენად ძლიერია, რომ ამგვარ დაბრკოლებებს ადვილად ლახავს. მას საკმაოდ ყავს წევრები, თითქმის 70 კაცამდე; წელს ჩავეწერეთ 17 კაცი. პირველ ჩამოსვლისათანავე, 16 სექტემბერს მოხდა წლიური საერთო კრება, რომლის დღიურ წეს-რიგში შედიოდა: ახალი წევრების მიღება, სალიტერატურო წრის შესახებ კითხვა, განსვენებული ა. ხახანაშვილისა და ი. გოგებაშვილის პანაშვიდის შესახებ, წლიური ანგარიშის განხილვა და ახალი გამგეობის არჩევნები. ახლო მომავალში სათვისტომომ გადაიხადა გოგებაშვილისა და ხახანაშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელსაც თითქმის მთელი [illegible] ქართველობა დაესწრო. პირველსავე კრებაზე ლაპარაკი იყო სათვისტომოს შესავალ-გასავალზე და აღმოჩნდა, რომ სათვისტომოს გასესხებული ფული ბევრი ჰქონია, მაგრამ ამ ფულის დაბრუნებას-კი, ცოტა არ იყოს, აგვიანებენ მოვალეები. კითხვა-სალიტერატურო წრის შესახებ გადაიდვა შემდეგი კრებისათვის. აირჩიეს ახალი თავმჯდომარე—ა. პაპავა, მდივნად დარჩა ძველივე მდივანი—მ. მჭედიძე, თავმჯდომარის ამხანაგად—ე. ჩხეიძე და გ. გულბანი. მოლარედ დარჩა ძველივე კ. გულისაშვილი, ბიბლიოთეკის გამგედ: ვ. ბერიძე, ი. ერისთავი და გ. ჩარხიანი.

ორი კვირის შემდეგ—სათვისტომოში აკაკი პაპავამ წაიკითხა რეფერატი. „გუშინ და დღეს“. უმთავრესი აზრი ამ რეფერატისა ის იყო, რომ თანამედროვე მწერლები ვერ ჰქმნიან იმისთანა მთლიან ნაწარმოებს, როგორსაც ჰქმნიდენ ჩვენი უკვდავი მგოსნები, და ეს იმით აიხსნება, რომ საქართველო დღეს დაკნინებულია, მასში არ არსებობს [illegible] იგი არ წარმოადგენს ერთს მთლიანს ერთეულს. თუ ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. ყაზბეგი და სხვანი ქმნიდენ აგეთებს, ეს იმიტომ, რომ საქართველოში კიდევ იყო დარჩენილი ძველი ძლიერების სული, ჯერ იგი კიდევ სუნთქავდა ამ ძველის ძლიერებით და ამიტომ მათი ნაწარმოებნი მთლიანი და ძლიერია. ეხლანდელი საქართველო კი სდგას გადაგვარების გზაზე, მას ვერ აქვს ერთი გარკვეული მიზანი და გზა, რომლისკენაც უნდა მიმართოს ყველა თავისი ძალები. ამიტომაც არის, რომ დღევანდელი მწერლები მარტო თავის წუთიერ შთაბეჭდილებას გადმოგვცემენ და სუბიექტურ გრძნობებს გვისახავენ. თანამედროვე მწერლები ვერ განიცდიან ფიზიოლოგიურად საქართველოს ძველ ძლიერებას და მისს ახალს კი ჯერ საკმაოდ თავი არ უჩენია; მწერლები ერთ გარკვეულ გზას მთლიანად ვერ სახავენ, რადგან ძველი მოკვდა, ახალი მის ადგილას არ აღმოცენებულა. ამის შემდეგ მან ყურადღება მიაქცია დ. კლდიაშვილს, რომელიც ჩასთვალა ამ ძველის საქართველოს რღვევის საუკეთესო დამსახველად. გაგვაცნო დ. კლდიაშვილის ნაწარმოებნი და აღნიშნა, რომ ამ თანდათანობით მოდუნებას, მოჰყვება გადამწყვეტი მომენტი, რის შემდგომ საქართველო იწყებს აღორძინებას და ეს აღორძინება იქნება პირმშო ეროვნული თვითშემეცნებისა და ახალ ეკონომიურ ურთიერთობისა; აი, საძირკველი ახალის საქართველოისა და მის შემდგომ მის ცხოვრების სარკისა, ქართული ლიტერატურაც მრავალ-ფეროვანი, შინაარსით მდიდარი და წარმტაცი იქნებაო. იგი, რამდენადაც ამას რეფერატი მოითხოვდა, შეეხო ჩვენს ისტორიასა და უცხოელთა ლიტერატურის გზახვეულს. რეფერენტი, როგორც შინაარსით, ისე გარეგანის ფორმით ლამაზი და შინაარსიანი იყო, რამაც გამოიწვია მხურვალე ტაშის ცემა. გაიმართა პატარა კამათი, რომლის დროს ერთმა ამხანაგმა ბრალი დასდო რეფერატს, რომ დაწვრილებით არ შეეხო ქართულ ისტორიასა და დაწვრილებით არ აღნიშნა ქართული ისტორიის სხვა და სხვა ხანებიო. ამ შენიშვნაზე რეფერენტმა ღირსეული პასუხი გასცა. ბ-ნმა პაპავამ დიდათ დაავალა სათვისტომოს ნივთიერადაც (რეფერატი ბიბლიოთეკის კომისიის სასარგებლოდ წაიკითხა) რადგან ბევრი წიგნები შეუკინძავი ეყარა და ეხლა კომისია ამ ფულით შეუდგა მათ აკინძვას. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მუშა ახალგაზდა სათვისტომოს უფრო ბევრი ეჭირება, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამას ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ. ჯერ თვითეულს ჩვენგანს ნათლად ვერ გაურკვევია, რომ სათვისტომო, როგორც ეროვნული დაწესებულება, ფრიად მნიშვნელოვანია ახალგაზდა ქართველებისათვის, რომლებიც მოწყვეტილნი არიან მშობლიურ არეს და ეროვნულ კულტურას. ვისაც ჩვენი დიადი წარსული უყვარს, უნდა უყვარდეს და მსახურებდეს, სათვისტომოსაც, რომელიც დორპატში ასეთ გარკვეულსა და ნათელ გზას ადგას.

გიორგი ჩარხიანი.

ხმა კიევიდან

2.

„კიევი ავდექთო“ — სიხარულით გამოაცხადა კიევის ერთმა პროგრესიულმა გაზეთმა, როდესაც აქაური არჩევნების ამბავი გაიგო. და მართლაც, საკვირველი რამ მოხდა: კიევმა, ძველმა კიევმა, მემარჯვენეების, კიევმა, მემარცხენე კადეტი ს. ივანოვი აირჩია დეპუტატად, დამარცხდა, სასტიკად დამარცხდა შავების ბლოკი; მოკავშირეებს შრომამ უბრალოდ ჩაუარა. კიევს ორი დეპუტატი უნდა აერჩია. პირველ კურიაში გავიდა მემარჯვენე ვ. ი. დემჩენკო და მეორეში კი მემარცხენე ს. ივანოვი. პროგრესისტებს არა ჰქონიათ დიდი იმედი გამარჯვებისა და ამიტომ დიდად არ დაუმწუხრებია პირველ კურიაში დამარცხებას. ამნაირად, ცნობილი სავენკოს, ივანოვის მოწინააღმდეგეს, ხრიკებმა უნაყოფოდ ჩაუარა.

არჩევნების დღე საზოგადოდ უფერული იყო, ქალაქს მის გამო მეტი სიცოცხლე როდი დასტყობია. საარჩევნო შენობებთან თითო ოროლა კაცი თუ მიდიოდა. იქვე იდგა ხოლმე რამდენიმე შავრაზმელი. გაზეთებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე ამომრჩეველს ძალით ართმევდნენ საარჩევნო ბიულეტენებს და თავისას აჩეჩებდნენ ხელში, მოწყობილი ჰქონდათ რაღაც ბიუროს მსგავსი, გამოუცდელ ამომრჩევლებს შეიტყუებდნენ ხოლმე და საბიულეტენო კონვერტს უცვლიდნენ. საზოგადოდ მარტო შავრაზმელები მუშაობდნენ გაფაციცებით, არჩევნების წინადღე უშველებელი პლაკატები გამოუშვეს თავის კანდიდატების სასარგებლოდ და დაქირავებულ ხალხს ეს პლაკატები ქუჩაქუჩა დაჰქონდა... მემარცხენეები გაზეთებში თუ სწერდნენ, თორემ მოქმედების თავისუფლებას ვინ მიანიჭებდა... მით უფრო სასიამოვნო იყო გამარჯვება.

⁂

მთავრობის მიერ დაკეტილ კლუბს უკრაინელებისას სალიკვიდაციო კრება ჰქონდა, კრებაზე წაიკითხეს გუბერნატორის განკარგულება კლუბის დაკეტვის თაობაზე და მსჯელობა იქონიეს, თუ რა უნდა ექნათ კლუბის ქონებისათვის. გადასწყვიტეს,—შენობა დაუთმონ კლუბ „როდინას“ (სამშობლო“), რომელმაც ქონებაში უნდა გადაიხადოს ორი ათას მანეთამდე და რამდენიმე კიდევ კლუბის შეკეთებისათვის. „როდინას“ უარი უთქვამს ბიბლიოთეკის სყიდვაზე (ეს ბიბლიოთეკა იყო მიზეზი კლუბის დაკეტვისა). ბიბლიოთეკასაც გაჰყიდიან და აღებული ფული უნდა პოეტ შევჩენკოს საძეგლო ფონდს მიუმატონ. გადასწყვიტეს აგრეთვე სენატში განასაჩივრონ გუბერნატორის დადგენილება.

ამ კლუბის დაკეტვამ ძალიან დაალონა და აღელვა უკრაინელები. განსაკუთრებით აღელვებულია უკრაინელი სტუდენტობა და საზოგადოდ ახალგაზდობა, რომელსაც თავის ერისათვის გული შესტკივა.

⁂

ოქტომბრის 20 გაჩხრიკეს რედაქცია პოლონურ გაზეთისა. ჩხრეკამ სამს საათს გასტანა. გაუშინჯნიათ ყველაფერი, რედაქციის შკაფებიც გაუტეხნიათ. თითქმის ექვს ფუთამდე მასალა წაუღიათ ჟანდარმებს. ჩხრეკის დროს გაზეთის თანამშრომლები (გაზეთს სახელად „ძიენიკ კიევსკი“ ჰქვიან) და ასოთ-ამწყობნი შიგ მოიმწყვდიეს და გარედ არავის უშვებდნენ.

⁂

ამას წინად კიევის უნივერსიტეტთან არსებულმა „კავკასიელთა სათვისტომომ“ ვაჭართა საკრებულოში საღამო გამართა. წინად ამ სათვისტომოში ქართველებიც ყოფილან, მაგრამ ვერ მორიგებულან და ცალკე სათვისტომო დაუარსებიათ. ეხლა „კავკას. სათვისტ.“ უმეტესობა სომხობაა. გამართულ საღამოს კავკასიისა არა ეცხო რა, თუმცა არც გამმართველებს დაურქმევიათ საღამოსთვის „კავკასიური“. ამ მხრივ აღსანიშნავია მხოლოდ ლეკური და კინტოური, რომელიც იცეკვეს ქართველმა სტუდენტებმა. გარეშე საზოგადოება სრულიად არ დასწრებია საღამოს, მხოლოდ მოსწავლე ახალგაზდობა იყო. ბევრი ვეძებე და შტატსკურად ჩაცმული მხოლოდ ერთი ვნახე, ისიც, მგონია, საღამოს პასუხისმგებელი გამმართველი იყო...

ქ. რაჭველი.

სოფლად კახეთში.

ამინდი.

ზაფხული კახეთში გოლვით გათავდა და შემოდგომასაც სიცხე-პაპანაქება შეჰყვა. მეტად ხანგრძლივი გოლვა იყო წელს, ამასთან ცხელოდა. სიცხე 35—40° აღიოდა რეომიურით. დედამიწა ნაპრალებად დასკდა, წყლები დაშრა, მცენარეები მოიტუსა, ბალახი ამოხმა, მწვანის ხსენება არ იყო, ქირნახულის გარდა საქონელს საქმე გაუჭირდა, ნასიმინდვრებში დადიოდა და სიმინდის ღეროებს ღირღნიდა პირუტყვი; სხვა იმ დროს თუ გუთანი გატანილი ჰქონდა მხვნელს, ეხლა ვინ გაჰბედავდა, ფოლადივით გამხმარ დედამიწის შებრძოლებას. აწ რა საქონელს შეეძლო სახნისის გატარება. ბუნებამ ასე დასაჯა კახეთი, ყველგან სიცხე-პაპანაქება, ყველგან გახურებული მზის ბუღი, მაგრამ მაინც შეუდარებელია სოფელი ზაფხულობით და ამისათვის იგი თავისკენ მიტაცებდა, მისი გულ-ჩახვეული ცხოვრება თავისკენ მიზიდავდა და მეც ერთ ასეთ დღეს (გოლვა კახეთში 17 ენკენისთვემდე გაგრძელდა) გავეცალე მტვერ-ბუქიან თელავს და 3—4 დღით შევექცეოდე კახეთის სოფლებს. ზემო მხარეს ამ ერთი თვის წინედ გადავავლე თვალი და ამისათვის ახლა ქვემოდ გავწიე

სოფლების მდებარეობა.

თელავიდან დაწყობილი ქვემო სოფლები სულ ცივ გომბორის მთის კალთებზეა გაშენებული, მხოლოდ ქვემოდ და ქვემოდ ეს სოფლები დაბლა იწევს და ზოგან ისე ვაკდება, რომ სახნავი მიწები სოფელს თავში მოექცევია. ამასთან ყველა სოფელი, კონდოლის და ნასომხარის გარდა, ზედ ცივ გომბორის მთებს აკრავს. ეს ადვილი ასახსნელია, უწინდელ დროში, როცა კავკასიონის ქედის მხრივ, ლეკთა თავდასხმისგან ნიადაგ შიში მოელოდათ, სოფლები მთის ძირში შენდებოდა, რომ საჭირო დროს მალე გახიზნულიყვნენ მთაში და იქ ეცხოვრათ ვიდრე მტერი უკან დაბრუნდებოდა. ზოგჯერ ხომ დიდხანს უხდებოდათ მთაში დარჩენა და თუ ბარად მეომარნი იარაღით ებრძოდნენ ურჯულოთ, აქ მთაში მოხუცნი და ქალნი ავედრებდნენ საქრისტიანო სამშობლოს, ამისათვის მიუვალ ადგილებში აუშენებიათ პატარ პატარა სამლოცველოები, რომელთა სიწმიდე ეხლაც დარჩენილა ხალხში და თითქმის ყველა სოფელი წელიწადში ერთხელ დიდის ამბით დღესასწაულობს ამ სიწმინდეთ.

შემდეგ როცა მშვიდობიანობის ხანა დადგა, სოფელმა მთას თავი მიანება და ნელ-ნელა—ქვევით იწევს—თელავ-სიღნაღის შარა გზას უახლოვდება, მაგ. როგორც ქვემო ხოდაშენი, ვანთა-ბუშატი, აკურა, შაშიანი და სხვა.

უწყლობა.

ერთი 1910 წელს ზამთარში განიცადა კახეთმა უწყლობა და მეორე წელს განმეორდა. ხანგრძლივ გოლვისა გამო სოფლის წყაროები სულ დაშრა, ზოგს სოფელს სასმელი წყაროც არა ჰქონდა და შორის მანძილიდან უხდებოდათ ზიდვა. რაც შეეხება პირუტყვს, ალაზანზე ერეკებოდნენ წყლის დასალევად და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დღეღამეში ორჯელ უნდა დაელევინებინათ წყალი, და 10—13 ვერსის სიშორეზე გაერეკათ საქონელი, ეს მეტად დიდ დროს მოითხოვდა და წვალების გარდა დიდ-ხანსაც სცდებოდა, როგორც საქონელი, ისე პატრონი. წისქვილები ხომ, რაღა თქმა უნდა, თითო თვალი ძლივსა ბრუნავდა და ჩვენ გლეხსაც ზურგით მიჰქონდა გამოსაფქვავად ვიდრე წესიერად ამუშავდებოდა. უწყლობის თავიდან აცილება ადვილი შესაძლებელია, ყველა სოფლის თავში ბევრი წყალი იპოვება, მომეტებული მათგანი ისე იკარგება, ნაწილი კი რუდ ჩამოდის სოფლებზე, რომელსაც სასმელად ხმარობენ. ეს რუები ზაფხულობით ჰუქუქიანდება და აჩენს ათასგვარ გადამდებ სენს და უმთავრესად ციებ-ცხელებას. ეს წყლები რომ მოკრეფილიყო და მილებით გამოეყვანათ სოფლებში, არა თუ მცხოვრებთ, საქონელსაც თამამად ეყოფოდა და შესაძლებელი იქნებოდა, სოფლის ბოლოებზედაც მისი გაყვანა, სადაც უმთავრესად უხდებათ მუშაობა. ყველა ეს შესაძლებელია, მაგრამ ამას უნდა უპირველესად ფული და აგრეთვე პატრონობა და დღეს ჩვენი სოფლები კი ორთავეს მოკლებულია.

ალაზანი.

რამდენადაც სასიამოვნო სანახავია თვით მოდუდუნე ალაზანი, რომელიც თავის ჩუხჩუხით თითქოს ცდილობს მოგვითხროთ თავისი მწარე თავგადასავალი, რამდენადაც კარგია მის ნაპირებზე ატენილი ჭალა, საუცხოვოა მისი ფართოდ გადაშლილი ველი და რამდენადაც იგი ამ დროს ე. ი. ზაფხულში უწყინარია თავის წყალ-ნაკლულობით, იმდენად საზარელი სანახავია როცა გამხეცებული მირბის და აბობოქრებული აწყდება აქეთ-იქით, თავის კალაპოტში ვეღარ ეტევა, გადადის ნაპირებზე—მინდვრებზე და ერთი თვალის დახამხამებაზე უშველებელ კლდე-ღრედ აქცევს დათესილ და გლეხის მარჩენალ მინდვრებს. ამნაირად ალაზნის წყალობით მარტო ამ ბოლო წლებში რამდენიმე ასი დესეტინა სახნავი მიწა ექნება წართმეული ქვემო სოფლებსა და ბევრი მიწის პატრონი უმამულოდ დარჩენილა ამ გამოუსადეგარ წყლისავე წყალობით.

ს. წინანდალი.

ეს სოფელი შესანიშნავია არა თუ ეხლა არამედ უწინაც. სწორედ წინანდალში სცხოვრობდა ცნობილი კახეთის მემამულე და მეომარი თავ. დავით ჭავჭავაძე, რომლის ცოლშვილი 1854 წელს შამილმა წაასხა ტყვედ. როგორც მკითხველს ეცოდინება თავ. ჭავჭავაძემ თავისი ვეება მამულები მდებარე სოფ. წინანდალში, ნაფარეულში, და მუკუზანში საუფლისწულო უწყებას მიჰყიდა რამდენიმე მილიონად. ამ უწყების უმთავრესი გამგეობა წინანდალშია, აქვე აშენეს სამეფო სასახლე და სხვა საჭირო შენობები უშველებელ სარდაფიდან დაწყობილი. ამ გარემოებას წინანდალისათვის თავისი ელფერი დაუდვია, მცხოვრებნი ნივთიერად უფრო მაღლა დგანან შედარებით მეზობელ სოფლებთან, რასაც ამოწმებს კოხტა სახლები, სუფთა კარმიდამო, რიგიანი ჩაცმა-დახურვა და გამოსვლა. ეგ არის ყველა ეს სწავლა-განათლების საქმეში არაფრად ეტყობათ ამ სოფელში უკანასკნელის აღწერით 350 კომლი ითვლება და ასოდენა მცხოვრებთ აქამდე ერთად-ერთი სამრევლო სკოლა ჰქონდათ. შარშან სოფელმა თავ. ჭავჭავაძეების მეცადინეობით დაადგინა სამინისტრო სკოლის გახსნა, თუმცა ძალიან უარობდა, ეშინოდათ, მთავრობა წაგვიცდის და მერე სულ ჩვენ მოგვახვევს თავზედაო. სოფელი შიშით და მოსამსახურით ეწევა და ამის უარზედაც იდგა. სკოლაში ამ წლიდან უკვე დაიწყო სწავლა და იმდენი მთხოვნელი აღმოჩნდა, რომ კენჭის ყრით მოუხდათ შეგირდების მიღება...

(დასასრული იქნება)

დავიწყებული.

სხვა და სხვა ამბავი

კავკასიის სასამართლოები.

იუსტიციის მინისტრმა სენატორ რეინკეს მიანდო შეემუშავებინა კანონპროექტი, თუ როგორ უნდა მოეწყოს სასამართლოები კავკასიის მთის ხალხისთვის. ის საქმეები, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ ყურანთან, სამღვდელოების თანადასწრებით უნდა გაირჩეს. ამისთანა საქმეები პირველ ყოვლისა სამღვდელოებამ უნდა გაარჩიოს.

ბატურინის პატიება.

გაზეთების ცნობებით, ჯარის-კაცს ბატურინს, უმაღლესი ბძანებით, დანაშაულობა აპატიეს.

უწესრიგო არჩევნები.

ოდესაში სახელმწიფო დეპუტატის ამომრჩეველთა არჩევნების დროს მემარჯვენეებმა უწესრიგობა მოახდინეს. ებრაელ ამომრჩეველებს საარჩევნო სიებს ხელში ჰგლეჯდნენ, და თვალწინ უხევდნენ.

ანარქისტების ბრბო.

ვარშავაში შეიპყრეს ანარქისტთა ბრბო, რომელსაც სახელად „შავი ხელი“ ერქვა.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

ჩერნოგორიის და სერბიის მხრით.

ცეტინიე. ტარაბოშში თოვლი მოვიდა. მეციხოვნე ჯარი სკუტარში მირბოდა, მაგრამ თავისივე არტილერიამ აიძულა უკან დაბრუნებულიყო. მეფე ანტივარში წავიდა. ხმები დადის, ვითომ ჩერნოგორელების საშველად სკუტარში სერბიის ჯარი მიდისო.

ბელგრადი. დუნაის ცხენოსანთა ჯარი დოირანს მიუახლოვდა, საცა 1000 ოსმალო ჯარის-კაცია. დოირანუს მცხოვრებლებმა, რომ გაიგეს სერბიელების მოახლოვება, შეიარაღდნენ შეჰკრეს ოსმალოს ჯარის უფროსი და შეუთვალეს სერბიელებს, რომ ქალაქი ჰნებდებაო. სერბიის ჯარმა დაიჭირა დოირანი.

საბერძნეთის მხრით.

ათინა. საბერძნეთის ჯარმა პენტეპიგადიო აიღო.

ოსმალეთი.

სტამბოლი. სტამბოლში ხოლერაა. ჯარში ულემები წავიდნენ ჯარის გასამხნევებლად. წავიდა აგრეთვე სულთანის ულემი, რომელიც სულთანის სალამს გადასცემს ჯარს.

სტამბოლი. ესპანიის, ჰოლანდიის, შეერთებულ შტატების და რუმინიის გემებს მიეცათ ნავთსადგურში შესვლის ნება.

სტამბოლი. ქალაქში აუარებელი რიცხვია დაჭრილებისა. ისინი მოათავსეს ახლო-მახლო სოფლებში.

სტამბოლი. შეიხ-ულ-ისლამის პროკლამაციამ ოსმალებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მცხოვრებთა დაბალ კლასებზე და მოსწავლე ახალგაზდობაზე. შესაძლებელია არეულობა მოხდეს. საეჭვოა, პროკლამაციები სასურველ ნაყოფს მოიტანს თუ არა. სამხედრო აგენტების სიტყვით ჯარი სულით ძლიერ არის დაცემული, მისი გამხნევება ყოვლად შეუძლებელიაო. ჩატალჯიდან 3000 ავადმყოფი მოიყვანეს. ჯარში გახშირებულია სახადი და სისხა. ხოლერაც თან და თან ფეხს იკიდებს. ჩატალჯის ბრძოლის დროს დაიჭრა 28,000 ოსმალელი ჯარის-კაცი. 7 ნახ. ათასი სუმბუქად დაჭრილია; ისინი მოიყვანეს სტამბოლში 20500 ათასი კი მძიმედ დაჭრილი ბრძოლის ველზე სულსა ჰლაფავს. ჩატალჯის ჯარში შეთქმულება აღმოაჩინეს.

სტამბოლი. ოსმალეთის სააგენტო იუწყება, რომ ოსმალეთის სამხედრო გემებმა როდოსტის მახლობლად ბულგარეთის ბატარეა გაანადგურესო.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით.

სტამბოლისაკენ.

„რეიხშპოსტს“ ატყობინებენ: ბულგარები თავის მარცხენა ფრთაზე დიდძალს ჯარს აგროვებენ, რათა აქიდან დაიწყონ იერიში ჩათალჯის სამხრეთ ნაწილის წინააღმდეგ. ცენტრი და მარჯვენა ფრთა დიდად ავიწროებს ოსმალებს რკინის გზის გასწვრივ.

ჩათალჯის აღება.

„კელნიშე ცეიტუნგს“ ატყობინებენ: ორი დღის ბრძოლის შემდეგ ჩათალჯა ბულგარებმა აიღეს. ოსმალები საშინლად დამარცხდნენ. გამარჯვებულთ დარჩათ მრავალი სამხედრო სურსათი, ზარბაზნები, ალამი და სხვა. ბულგარელები ფეხ-დაფეხ მისდევენ მტერს.

ახალი გამარჯვება.

გაზ. „მირი“ სწერს: მოხდა ახალი დიდი ბრძოლა ჩორლუს იქითა მხარეს, სადაც ოსმალნი სასტიკად დამარცხდნენ. მათი ზარალი ლულე-ბურგასისას აღემატება; ოსმალებმა დაჰკარგეს 60 ზარბაზანი და 40.000 მეომარი.

ადრიანოპოლის ალყა.

ადრიანოპოლის გარშემო ომი გრძელდება. ბულგარელებს ღამ-ღამობით ციხეზე იერიში მიაქვთ. ოსმალები ორჯელ გამოვიდნენ და მტერს ეკვეთნენ მაგრამ დიდი ზარალით შებრუნდნენ. ციხის დამხობას დღე-დღეზე ელიან ჰფიქრობენ, რომ ადრიანოპოლში 40.000 დან 60.000 ჯარის კაცია და 150 საციხოვნო ზარბაზნიო.

სერბიის დამხმარე ჯარი.

4 დღის წინად კუსტენდილზე გაიარა სერბიის ერთმა დივიზიამ, რომელიც ადრიანოპოლისაკენ ბულგარების დასახმარებლად მიდის.

პროკლამაცია ჰაეროპლანიდან.

ბულგარეთის მფრინავმა ჰაეროპლანიდან პროკლამაციები გადაჰყარა ადრიანოპოლში. პროკლამაციაში ჩამოთვლილია ოსმალთა დამარცხებანი და ადრიანოპოლის უმიზნოთ თავის დაცვა.

ჰოლც-ფაშა.

ბულგართა ჯარში მყოფი, გაზ. „ტრიბუნის“ კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ლულე-ბურგასის ბრძოლაში ოსმალეთის ჯარს ფონდერ-ჰოლც-ფაშა ხელმძღვანელობდაო.

ბულგარელები მაკედონიაში.

ბულგარეთის ჯარმა, რომელიც მაკედონიაში მოქმედებს, აიღო რუპელის უღელ-ტეხილი და სამხრეთისკენ გაემართა.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

ბუდაპეშტი. ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარე მოვიდა. ითათბირა ბერტჰოლდთან და გერმანიის ელჩთან. მოვიდა ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი. რამდენიმე დღის შემდეგ ბერლინში გაემგზავრება.

ლონდონი. „ვესტმინსტერ-გაზეთი“ სწერს: სრულიადაც არ ვამცირებთ ავსტრია-სერბიის საკითხის მნიშვნელობას, მაგრამ ვერ წარმოგვიდგენია ამისთვის ავსტრიამ და რუსეთმა ბრძოლა გაიჩაღოს და ჩაითრიოს სამთა კავშირის მონაწილენიცო. ავსტრიას აქამდე თავდაჭერილად და ზომიერად ჰმოქმედობდაო, მაგრამ ალბანიის საკითხი ავსტრიისთვის და იტალიისთვის იმდენად რთულია, რომ შესაძლებელია სერბიის მისწრაფებას თვისი მისწრაფება დაუპირისპირონო.

ბერლინი. აქ არავითარი ცნობაა, ვითომც ოსმალეთმა შუამდგომლობის საკითხის აღსაძრავად ბალკანეთის სახელმწიფოებს მიჰმართაო.

სტამბოლი. სადიპლომატო კორპუსის უფროსთან, პალავიჩინთან შეიკრიბნენ ელჩები. განსახილველი ჰქონდათ ბალკანეთის სახელმწიფოების პასუხი ოსმალეთის მიერ აღძრულ შუამდგომლობის საკითხის გამო.

სოფია. „მირი“ სწერს: ავსტრია ბალკანეთის საქმეებში მუდამ თავშეკავებულად ჰმოქმედებდაო. ბულგარეთი მზად არის შეიწყნაროს ყველა სახელმწიფოს ინტერესი ბალკანეთშიო, მხოლოდ საჭიროა მიღებულ იქმნას ის ყველას მიერ ცვლილება რაც ბალკანეთის მიწაწყალმა განიცადაო. დროა სახელმწიფოებმა შესცვალონ მზრუნველობითი კილო ბალკანეთის სახელმწიფოების მიმართო.

პარიზი. ბრძოლის ველიდან მოსული ცნობები ადასტურებს უკანასკნელ შეტაკების საშინელებას. ბრძოლა ძლიერ სისხლის-მღვრელი იყოო.

ვენა. ვენაში და ბუდაპეშტში გავრცელდა ხმა, ვითომც ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩის მოკვლა განიზრახეს ბელგრადშიო. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ ეს ხმა სიმართლეს მოკლებულიაო.

პარიზი. სადიპლომატო კანცელარიათა შორის მოლაპარაკება სწარმოებს ოსმალეთის წინადადების გარშემო. ოსმალეთი მოითხოვს, რომ სტამბოლის აღებას ხელი შეუშალონ, თუ ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება უნდათო.

გაზეთებიდან.

სახელმწიფოების ფლოტი სტამბოლში.

სტამბოლიდან იუწყებიან: 25 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მოვიდა ინგლისის კრეისერი „ვერმუტი“. დილის 10 საათ. მოვიდა რუსეთის კრეისერი „კაგული“.

საფრანგეთის კრეისერს „ლეონ გამბეტას“ საღამოს მოელიან. ხვალ მოვლენ ავსტრიისა, გერმანიისა და იტალიის გემებიც. ყველა სახელმწიფოს გემებზე 3.000 კაცი და 132 ზარბაზანი იქნება.

ოსმალეთის გადაწყვეტილება.

ოსმალეთის მთავრობამ საბოლოოდ უარჰყო რუსეთის მიერ წარდგენილი პირობები ზავის პროექტისა. მან განაცხადა, რომ სახელმწიფოებისაგან შემუშავებული ზავის პირობებს ოსმალეთი ვერ მიიღებს, რადგანაც იგი მხოლოდ ერთი პირობით დასთანხმდება მშვიდობიანობის ჩამოგდებას, თუ უცვლელად დარჩება status-quo და შემოღებულ იქნება მხოლოდ მაკედონიის ოლქობრივი თვითმართველობა.

სახელმწიფოების ერთსულოვნობა.

პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ამ ჟამად ბალკანეთის კავშირის ტერიტორიის გაფართოებას ყველა დიდი სახელმწიფო ემხრობა.

სამთა კავშირის მუქარა.

გაზ. „ტრიბუნის“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს: პოლიტიკურ წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ გერმანია, ავსტრია და იტალია შეთანხმდნენ, რათა სერბიას ნება არ მისცენ ადრიატიკის ზღვაზე ნავთსადგურის დაჭერისა. თუ სერბია მათ რჩევას არ დაიჯერებს სამთა კავშირი ძალას მიჰმართავსო.

ავსტრიის პრესის აზრი.

„ნეიე-ფრ.-პრესე“ სწერს: ვინ მისცა სერბიას უფლება ადრიატიკის ზღვაზე ნავთსადგურის დაჭერისა? დაპყრობის უფლება ხომ ვერ გაამართლებს ყველაფერს? იბადება ახალი, ძნელად გადასაწყვეტი საკითხი.“

რუსეთის აზრი.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდება ალბანეთის ავტონომიის დაარსებას, თუ ევროპაში დარჩება ერთი მცირე კუთხე მაინც ოსმალეთის სუვერენობის ქვეშ.

სერბიის აზრი.

სერბიის პრემიერ-მინისტრმა პაშიჩმა განაცხადა: სერბიის მიერ ადრიატიკის ზღვაზე გასვლა მის არსებობის საკითხს შეადგენს. ავსტრიას ამით არავითარი საფრთხე არ მოელის, რადგან სერბიას მეტად პატარა ფლოტი ეყოლება და ვაჭრობითაც მეტოქეობას ვერ გაუწევს. სამაგიეროდ სერბია დასთანხმდება მაკედონიაში ავსტრიის ეკონომიურ პირობების უპირატესობას.

რუსეთი

მეზღვაურთა სიკვდილით დასჯა.

სევასტოპოლში სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაარჩია საქმე მეზღვაურთა, ფლოტზე არეულობის მოხდენა რომ ჰბრალდებოდათ. 26 ღვინობისთვეს სასამართლომ საქმის გარჩევა დაასრულა. 17 მეზღვაურს დახვრეტა გადაუწყვიტა: 106 მეზღვაურს ოთხი წლიდან რვა წლამდე კატორღა; 19 ბრალდებული უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა. ერთ მეზღვაურს მახოტინს სიკვდილით დასჯა შეუცვალა სამუდამო კატორღით, რადგანაც გამოძიებას ხელი შეუწყო დანაშაულობის აღმოჩენაში. სიკვდილით დაისჯებიან შემდეგი მეზღვაურები: ვოლიკი, ვეენკო, ვოლკოვი, ველიჩკო, გავრილოვი, დოლი, პოგანჩენკო, ჟერლიცინი, ლოზინჩენკო, ტრუშჩლოვი, არტიუშენკო, კოშმანოვი, ლისნიაკი, ტოლმაჩევი, სოროკინი და ლესტინოვი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

30 ოქტომბერი.

ბერლინი. კალკუტიდან იტყობინებიან, რომ ინდოელ-მუსულმანთა კრებაზე, გადასწყდა, ბოიკოტი გამოეცხადოს ევროპის სახელმწიფოების საქონელს, ოსმალეთთან მტრულ განწყობილების გამო.

პეკინი. რუსეთის და მონღოლიის ხელ-შეკრულების გამო რესპუბლიკის პრეზიდენტთან ხანგრძლივი თათბირი იყო გამართული. გადასწყვიტეს ხელ-შეკრულობა არ მიიღონ და წინააღმდეგობა გაუწიონ ხალხის დაბრუნებისთვის.

რუსეთი

პეტერბურგი. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა წინადადება გავცელდეს საქარხნო ინსპექცია კავკასიაში, ციმბირში და თურქესტანში.

რიგა. ასოთ-ამწყობთა გაფიცვის გამო რიგაში გაზეთები ვერ გამოვა.

პეტერბურგი. საზღვაო მინისტრის ხარჯთ-აღრიცხვით გემთა ასაგებად 1913 წლისთვის 68 მილიონი მანეთია აღნიშნული.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილი სახალხო სახლი ქართ. სახალხ. წარმ. მმართ. წრის მიერ 1 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება: „ისმინე ისრაილ“ დრ. 3 მოქ. თ. დიმოვისა. პიესაში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობნი ქ-ნი პიერეტტა, ბ-ნი ვ. გამყრელიძე და წრის სცენისმოყვარენი. ადგილების ფასი სახალხოა.

ქ. ბაქო. კვირას, 21 ოქტომბერს, ქ. შ. წ. კ. გ, საზოგადოების ბაქოს განყოფილების დრამატიულ სექციის მიერ წარმოდგენილ იქმნა ოთხ მოქმედებიანი დრამა ფრანც ადამ ბეიერლეინისა „სამხედრო ბანაკში“, მონაწილეობას ღებულობდენ: ქ. ვიქტორელი და ბ. ბ. მატარაძე, მელიქიშვილი, თევდორაშვილი, თალაკვაძე, გ. პავლიაშვილი; ა. ახობაძე, ვ. ამაშუკელი, ა. ქუმბურიძე, ალ. პავლიაშვილი, ნ. ნიკოშვილი, ი. ბოხუა და დ. ყიფიანი. ეს მეოთხე წარმოდგენა იყო ამ სეზონში და უნდა სიმართლე სთქვას კაცმა რომ ეს უკანასკნელი წარმოდგენა რიგიანად მოეწყოთ. მონაწილეთ ეტყობოდათ, რომ შრომა გაეწიათ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ამ საღამოს ქ. ვიქტორელმა, ბ. ბ. ამაშუკელმა, მატარაძემ და თალაკვაძემ. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები გ. პავლიაშვილმა და ბოხუამ.—დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო.—

სახალხო „გაზეთის“ რედაქციის მიმართ*)

ბატონებო! თქვენ შეგიძლიათ, როგორი სახელიც გსურთ, ის მომაკეროთ,—ეგ თქვენი პატიოსნების და სინიდისის საქმეა.

მაგრამ მე ნებას არავის მივცემ ვინც უნდა იყოს ჩემ შესახებ ფაქტები შეთხზან ან დაამახინჯონ. ლანძღვის საქმეში სხვებისთვის დამითმია უპირველესობა და თითიც მომიკაკვავს მორჩილად. ამ გზით ვერავის გავყვები. ეს ჩემი თავის უარყოფა და დამცირება იქნება.

მათი ლანძღვა მათვე გააწბილებს, მე კი ვერ მომწვდება.

ამის მაგალითია ბევრჯელ გალანძღული, მაგრამ მიუდგომელ ხალხისაგან პატივცემულნი ჩვენი ძველი მოღვაწენი და მწერალნი.

ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ მომითავსოთ თქვენს გაზეთში მხოლოდ შემდეგი სტრიქონები:

1) ი. გრიშაშვილი **სიმართლეს ჰღალატობს**, როცა ამბობს, ვითომც აკაკის ლექსის თაობაზე მას ჰქონოდეს ლაპარაკი ჩემთან მაშინ, როდესაც მე და გრ. რცხილაძე წერა-კითხვის საზოგადოების წინ ვბაასობდით.

ეს სწორე არ არის.

აკაკის ლექსის შესახებ ი. გრიშაშვილისაგან პირველად გავიგონე სამეურნეო ბანკის დერეფნის შესავალში, როცა ის შემოდიოდა გზიდან, მე კი გამოვდიოდი. იქ დამაყენა, დამიწყო ლაპარაკი და შემომჩივლა „სახალხო გაზეთზე“.

სწორედ იმავე დროს გადმომცა მან „თემში“ დასასტამბად თავისივე ლექსი „ფიჭვ-ნაძვნარი“, რომლის შესახებ მეორე დღეს—უსიამოვნო შეხვედრის დროს—განვუცხადე, რომ ლექსი არ დაიბეჭდება.

2) „თემში“ დასტამბულ ჩემს წერილში ჩემი და ი. გრიშაშვილის ნალაპარაკევი სტენოგრაფიულის სისწორით მაქვს გადმოცემული.

ი. გრიშაშვილმა მითხრა, რომ აკაკის ლექსი წამართვეს „სახ. გაზეთის“ რედაქციაში და გადაიწერესო. ცხადია, ი. გრიშაშვილი ჰფიქრობდა, რომ ამით გაიმართლებდა „თემის“ თვალში თავის თავს.

თუ დავუჯერეთ ი. გრიშაშვილის ახლანდელ ლაპარაკს, და ვიწამეთ, რომ დაუბეჭდავი „ოტისკი“ დარჩა „სახალხო გაზეთში“, ჩემთვის კი გადაწერილი პირი უნდა მოეცა, მაშინ როგორღა შეეძლო სიმართლის გამოაშკარავების საშუალების „მოსპობა“, როგორც ის არწმუნებდა მკითხველ საზოგადოებას თავის პირველ წერილში.

3) ი. გრიშაშვილი ჰღალატობს სიმართლეს მაშინაც, როდესაც ამბობს, თითქოს ჩემს სალიტერატურო საღამოებზე ის „ბახუსის ტალღებს გადაჰქსოვოდეს და ღვინით გამომთვრალიყოს...“ აქ კი სწორედ მოგახსენოთ, ტყუილად სწამებს თავის თავს ცილს. იგი სრულებით არ დამთვრალა.

ამას ადვილად შეამოწმებენ ის 25—30 დამსწრენი და მათ შორის გრ. რცხილაძეც.

ყველამ კარგად უწყის, რომ ჩვენს ოჯახში არასოდეს არ ყოფილა ღვინის სმა და ლოთობა. ჩვენ ღვინო არასოდეს არ გვყვარებია, მამაჩვენს ხომ თავის სიცოცხლეში არ უგემნია ღვინის წვეთი.

ეტყობა ბახუსის მოტრფიალეთ მეხსიერება ჰღალატობს ხშირად და ადგილიც ეშლებათ. რამდენი ქართველი მწერალი და მოღვაწე (ალ. ყაზბეგი, ივ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გ. ლასხიშვილი და სხვა.) ჰსტუმრებიან ჩვენს ოჯახს, მაგრამ ამგვარი დროს გატარება არასოდეს არ დაჰხვედრიათ...

ახლა თვით მკითხველ საზოგადოებისათვის მიმინდვია გადასაწყვეტად, ვინ არის მართალი ამ უსიამოვნო „საქმეში“ ი. გრიშაშვილი, თუ თქვენი უმორჩილესი მონა?

საუბედუროდ ჩვენს პრესაში ლანძღვა-თრევა და ქუჩური სიტყვების ხმარება დოგმატად არის გადაქცეული. მე ეს ვერ აღმიარებია. რაც ხანი „თემს“ ვბეჭდავ, ლიტერატურაში მიღებულ ზომიერების ფარგალს არ გადავცილებივარ.

ამასვე მოვითხოვ ჩემს მოწინააღმდეგეებისაგან.

მაგრამ თუ ისინი თავს აკადრებენ ეთიკის დარღვევას, და თუ ჩემი ლანძღვა მათ გვირგვინს კიდევ ერთ დაფნის ფოთოლს შეჰმატებს; დაე მლანძღონ!..

ეს პირველი მსხვერპლი არ იქნება საზოგადო საქმისათვის.

გრიგოლ დიასამიძე.

---

*) ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად.

რედ.

ორი სიტყვა

(წერილი რედაქციისადმი)

ბ-ნო რედაქტორო! მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგი ვაღიარო: ზოგი რამ ყველა მკითხველისათვის ისეთი აშკარა და ნათელია, რომ იგი თვითონაც სწორედ მიხვდება გაზეთში შეპარულ უნებლიე შეცდომას, ამიტომ მე სრულებით დავენდე პატივცემულ მკითხველთ და შესწორება არ შემიტანია ზოგიერთ შეცდომებში, რომლებიც ჩემი ლექციის რეცენზიებში შევნიშნე. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი იმედი არ გამართლდა და ზოგს დღესაც ებადება ეჭვი ამის გამო და ვერ ერკვევა—რა ხასიათის შეცდომას მიაწეროს იგი“... (დედა აზრი რეცენზიებში სწორია, რაც უმთავრესია.) ყველა ამის შემდეგ მეც იძულებული ვარ აღვნიშნო ზოგი წვრილმანი; მაგალითად უნდა იყოს ფრანგი (და არა გერმანელი), ესთეთიკოსი ფლობერი, „სნობიზმი“ ხელოვნებაში (და არა „ცნობიზმი“) „ალიტერაცია“ (და არა „ილიტერაცია“ და სხვა).

მე არ ვიცი ვის ეკუთვნის ეგ „შეცდომა“. მე თუ პატივცემულ რეცენზენტებს, მაგრამ, მგონია, თვითეული მკითხველი მიხვდება თუ რა ფასიც აქვს ამგვარ „შეცდომებს“.

აკაკი პაპავა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ზედა-ილმის სამკითხველოს ფული, თუ წიგნები: აი მათი გვარები: ბ-ნ ლ. ონ. გორგაძემ, ჟურნალი „განათლება“, ბ-ნ ბ. მ. გორგაძემ გაზეთი „იმერეთი“, მღვდ. ვას. გორგაძემ, —სასულიერო ჟურნალი „შინაური საქმეები“. ზედა-ილმის სკოლის მასწავლებლებმა ალ. გორგაძემ და ტ. ნიქაბიძემ,—ჟურნალი „ნაკადული“ ბ. კ. ვ. ალავიძემ ფულად ორი მანეთი. მ. იაკ. წერეთელმა, ფულად ერთი მანეთი და წიგნები და ილ. როს. გორგაძემ ათი შაური და ძირულის სადგურის უმფროსმა მ. თუხარელმა გაზეთი „Тифлисскій листокъ“-ი.

პატივის ცემით ზედა-ილმის სკოლის უმფროსი მასწავლებელი **ალ. ვ. გორგაძე,**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106, საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8/7, ღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან; სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ, დილ, 11 ს. 22 წ.

მიხაილოვადან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ, 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ, 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ, 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 5 ს. 25 წ, **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ**, 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, I მეორისა და 3—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ**, ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანოვი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 745),
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **გ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თეატრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს, 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.**, დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, სალ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, სალ. 9 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** სალ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, სალ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკასი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] ზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარეებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა დ. ჰოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს. [illegible] მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. 1037.

მემ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ნ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1078

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემამულობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა	„	80 „
III „	„ნააზრევი“	„	65 „
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 „

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ტ.—1307

განცხადებანი

სილამაზის უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
=საპონი=
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.
ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რიგა.
დაარსებული 1792 წ.



ერთი ნაჭერი 2 კ.
ყველგან იშოვება
Мотцл. 309286 309266 (10.1433.3)

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა.
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
შავი ხიზილალა

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.